



შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

1.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2.	სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
3.	ზოგადი ინფორმაცია	4
4.	ძირითადი საშუალებები.....	8
5.	არამატერიალური აქტივები.....	9
6.	მარაგები	9
7.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
8.	ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
9.	მიღებული სესხები.....	10
10.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
11.	საგადასახადო ვალდებულებები.....	10
12.	შემოსავალი.....	10
13.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
14.	ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	11
15.	ბალანსის შემდგომი მოვლენები	11



**შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“ -
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	2020	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	79,091	139,165	127,869
არამატერიალური აქტივები	650,274	781,542	904,543
საინვესტიციო ქონება			
ბიოლოგიური აქტივი			
სულ გრძელვადიანი აქტივები	729,365	920,707	1,032,412
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	57,897	69,700	84,934
გაცემული სესხები	20	17	16
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	521,114	559,710	619,653
ფული და ფულის ეკვივალენტები	21,558	143,614	53,310
სულ მიმდინარე აქტივები	600,588	773,042	757,913
სულ აქტივები	1,329,952	1,693,749	1,790,325
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	2,737,191	2,413,640	1,566,829
დაგროვილი მოგება	(2,148,873)	(1,749,160)	(692,081)
სულ საკუთარი კაპიტალი	588,317	664,481	874,748
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები (მოგება)	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	151,801	298,630	176,975
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	589,834	730,639	675,343
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	63,259
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	741,635	1,029,269	915,577
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,329,952	1,693,749	1,790,325



**შპს “უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ” -
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2. სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020	2019
ამონაგები	1,443,667	2,103,637
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(399,741)	(600,206)
საერთო მოგება	1,043,926	1,503,431
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(774,148)	(1,349,193)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	(724,641)	(1,246,775)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	(454,863)	(1,092,536)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	57,068	45,194
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(14,787)	(32,609)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო	8,447	21,770
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		
ფინანსური ხარჯი		
ფინანსური შემოსავალი		
მოგება დაბეგვრამდე	(404,135)	(1,058,182)
მოგების გადასახადის ხარჯი		
წმინდა მოგება/ზარალი	(404,135)	(1,058,182)
სხვა სრული შემოსავალი		
სულ სრული შემოსავალი	(404,135)	(1,058,182)

3. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“ - (შემდგომში ასევე - უნიქარდი) - არის საქართველოში რეგისტრირებული საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი. კომპანია დაფუძნდა 2009 წელს. დამფუძნებელი, 100% წილის მფლობელი არის სულხან პაპაშვილი.

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71.

უნიქარდის ძირითად და მთავარ საქმიანობას წარმოადგენს პარტნიორი კომპანიების გაყიდვების ხელშეწყობა და სტიმულირება კლიენტების მოზიდვის მიზნით, რომლის შედეგად



შპს “უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ” - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

უნიქარდი პარტნიორი კომპანიებისგან იღებს კომპენსაციას პარტნიორი კომპანიების მიერ გაყიდული საქონლისა და მომსახურების მოცულობის/ღირებულების მიხედვით.

უნიქარდის მიერ გაყიდვების ხელშეწყობა და სტიმულირება მოიცავს, როგორც რეკლამის განთავსებას, ინფორმაციის გავრცელებას და ა.შ. (სხვა მსგავსი გზებით მომხმარებლის დაინტერესებას), ასევე უნიქარდის ვალდებულებას უნიქარდის პარტნიორი კომპანიების წინაშე, განახორციელოს უნიქარდის მომხმარებლის სტიმულირება შემდეგნაირად: უნიქარდის პარტნიორი კომპანიიდან მიღებული საკომპენსაციო თანხის გარკვეული ნაწილი დაარიცხოს მომხმარებლის ბარათს ქულების სახით.

3.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2017 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

3.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 2019, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

3.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.



შპს “უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ” - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
საოფისე აღჭურვილობა	4-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

3.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 3-9 წლით.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს



შპს “უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ” - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

3.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

3.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულის ბანკში.

3.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.10 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;



**შპს “უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ” -
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

ქულების სამართლიანი ღირებულების შესაბამისად აღიარებული შემოსავალი კომპანია შიდა სააღრიცხვო პოლიტიკისა და სტატისტიკის მაჩვენებლების თანახმად გადავადებული შემოსავალიდან საშუალოდ 20-40% აღიარებს არასაოპერაციო შემოსავლად.

3.11 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანიამ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ტექნიკა და სხვა	ავეჯი და სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	500,191.97	148,117.95	648,309.9
შემოსვლა	17,714	157	17,870
გასვლა	(10,548)	(2,627)	(13,176)
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	507,357	145,648	653,004.6
დაგროვილი ცვეთა	(430,457)	(143,457)	(573,914)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	133,118	6,106	139,224
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	76,900	2,191	79,091



**შპს “უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ” -
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2019	638,967	127,971	822,788	1,589,726
შემოსვლა	0	0	45,827	45,827
გასვლა				0
დასაშვები ღირებულება 31.12.2020	638,967	127,971	868,615	1,635,553
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(359,767)	(47,800)	(400,617)	(808,184)
ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(443,425)	(64,957)	(476,898)	(985,279)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	279,200	80,171	422,171	781,542
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	195,542	63,015	391,717	650,274

5. მარაგები

	2020	2019
მარაგები კლიენტებისთვის	18,914	20,596
სხვა მარაგები	38,983	49,105
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	57,897	69,700

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	497725	547324
გადახდილი ავანსები	1070	934
სხვა მოთხოვნები	1247	11470
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	500042	559728



**შპს “უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ” -
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	2020	2019
ფულადი სახსრები	21558	143614

8. მიღებული სესხები

	2020	2019
მიღებული სესხები		
მიმდინარე	151801	126568
გრძელვადიანი	0	172062
ნასესხები სახსრები, სულ	151801	298630

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	411809	522490
გადასახდელი ხელფასები	34579	23953
სხვა ვალდებულებები	143446	184195
სულ	589834	730639

10. საგადასახადო ვალდებულებები

	2020	2019
საგადასახადო ვალდებულებები	0	0

11. შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	919,756	1,510,608
SMS-ს გაგზავნის მომსახურება	104,969	137,930
Visa პრივილეგიების კლუბიდან	260,083	236,113
მიღებული შემოსავალი	158,860	218,985
სხვა შემოსავალი	1,443,667	2,103,637



**შპს “უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ” -
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(რიცხვები ცხრილებში მოცემულია ლარში)

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

მარკეტინგის ხარჯი	(84,412)	(326,562)
ხელფასები	(532,275)	(1,034,887)
საიჯარო ქირის ხარჯი	(179,203)	(184,880)
კომუნიკაციის ხარჯი	(62,670)	(129,426)
სერვისების მომწოდებლების ხარჯი	(198,132)	(195,455)
ტრანსპორტირება/მივლინების ხარჯი	(20,872)	(27,814)
ცვეთის ხარჯი	(252,448)	(259,307)
სხვა ხარჯები	(183,563)	(443,268)
	(1,513,576)	(2,601,600)

13. ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	18750
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	75000

14. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

დირექტორი
ნანა ქეზური